ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მემარჯვენეები



# კოკა გუნცაძე

## ნაკლები ხელისუფლება მეტი თავისუფლება

სახელმწიფო ხელს არ უნდა უშლიდეს პიროვნებას საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოყენებაში



**ჩემი ოჯახი.**

ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში,ვფიქრობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი ოჯახი,ის გარემო,რომელშიც იზრდება,ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი ჩემს ამომრჩეველს გავაცნო ჩემი ოჯახი და ბიოგრაფია.

დავიბადე 1968 წლის 4 სექტემბერს, ქალაქ თბილისში.ჩუღურეთის რაიონში გაიარა ჩემმა ბავშვობამ,აქვე დავამთავრე 23 საშუალო სკოლა,სადაც ჩემს მეგობრებთან ერთად შევეზარდე ჩუღურეთს, სადაც პირველად ვიგრძენი ჩვენი უბნის ხასიათი.

ვამაყობ იმითაც, რომ სწორედ ჩუღურეთთანაა დაკავშირებული ჩემი ოჯახის ხუთი თაობა;აქ ცხოვრობდნენ ჩემი ბაბუები, კონსტანტინე გუნცაძე და ცნობილი ქართველი მომღერალი პეტრე ამირანაშვილი , სწორედ მან მაზიარა პირველად და შემაყვარა კლასიკური მუსიკა;

ჩემი მშობლები: დედა- მარინა ამირანაშვილი ხელოვნებათმცოდნეა, ხოლო მამა- დავით გუნცაძე ინჟინერი. მყავს მეუღლე, მაია მამულაშვილი, პროფესიით სოციოლოგი და ორი შვილი, შვიდი წლის ქეთევანი და ხუთი წლის დავითი.

რაც შეეხება ჩემს პროფესიას, 1985 წელს ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე; 1987-1989 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური. ამ დროის მანძილზე გამოიკვეთა ჩემი პროფესიული ინტერესიც, 1990 წელს ჩავაბარე სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1994 წელს წარჩინებით დავამთავრე.1995 - 1999 წლებში გახლდით ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი. ამჟამად ვარ ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების მეცნიერ - თანამშრომელი. ვმუშაობ თემაზე “ადამიანის პრობლემა მაქს შელერის ფილოსოფიაში.„ და პროექტზე“ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი-სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უშუალო ფორმა.„

მაქვს პუბლიკაციები ფილოსოფიის, თეოლოგიის, სახელმწიფო მოწყობის, მემარჯვენეობის საკითხებზე; ალბათ, სწორედ პროფესიულმა ცოდნამ და საზოგადოებრივმა რეალობამ მომცა ბიძგი ჩავბმულიყავი პოლიტიკაში;

**2001 წლიდან გახლავართ "ახალი მემარჯვენეების„ ( ახლები )- ს ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და ვცდილობ ჩემი საქმიანობით ვემსახურო ჩემს უბანს, ჩუღურეთის რაიონს.**



**ჩემი უბანი.** ჩუღურეთს მრავალი პრობლემა აწუხებს: მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა, მოუწესრიგებელი გზები, მოძველებული კომუნიკაციები და ა.შ. თუმცა, ყველაზე მძიმე მათ შორის, ჩემი აზრით, მიწისძვრით გამოწვეული საცხოვრებელი სახლების უკიდურესად ავარიული მდგომარეობაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს.

ჩვენ სწრაფად გამოვეხმაურეთ სტიქიას და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გავუწიეთ 50 ოჯახს ჩვენს რაიონში. ცხადია, აღნიშნული დახმარება სრულად ვერ აღმოფხვრიდა სტიქიის შედეგებს, ამიტომ, შექმნილი უმწვავესი ვითარების დაძლევის მიზნით, ჩვენი ინიციატივით და მხარდაჭერით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია: „მიწისძვრისგან დაზარალებულთა კავშირი“.

ჩვენ ერთობლივად ვაპირებთ შევიმუშავოთ სარეაბილიტაციო პროგრამა, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა და ვადები, კერძოდ :

- მივაღწიოთ დაზარალებულთა სტატუსის განსაზღვრას და მათი სოციალური დახმარების გაზრდას.
- მივაღწიოთ ქალაქის ბიუჯეტში დაზარალებულთათვის ბინათმშენებლობის ხარჯების გაზრდას.
- ვაწარმოოთ დაზარალებულთა მუნიციპალურ ფონდზე სამოქალაქო მეთვალყურეობა, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება დაზარალებულთათვის გამოყოფილი თანხები.
- შევიმუშაოთ წინადადებები, თუ როგორ უნდა იქნას დაზარალებულ რაიონში ინვესტიციები მოზიდული.




**ჩემი უბანი ისტორიულია, ვაფასებ იმ ურთიერთობებს, რომელიც აქ მრავალი წლის განმავლობაში არსებობს და მიმაჩნია, რომ ტრადიციული ფასეულობები ჯანსაღი საზოგადოების საფუძველია.**

PX 4673/

## ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **კერძო საკუთრების უფლება და თავისუფალი მეწარმეობა**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ფლობდეს საკუთრებას, სარგებლობდეს ამით და ხელისუფლების ჩარევის გარეშე თავისუფლად და შეუფერხებლად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.

- **თვითდახმარება**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება და საშუალება საკუთარი შრომით გამოკვებოს თავისი ოჯახი, გახდეს გადახდისუნარიანი და თავად უზრუნველყოს: სამედიცინო მომსახურეობა, შესაფერისი განათლება, ნორმალური დასვენება, ხანდაზმულობა და სხვა სიკეთეები.

- **თანაბარი შესაძლებლობები**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება იცხოვროს კონკურენტულ გარემოში და გააჩნდეს წარმატების მოპოვების თანაბარი შესაძლებლობები; ხოლო თუ რა შედეგს მიაღწევს ადამიანი ამ შესაძლებლობის გამოყენებით, ეს, ცხადია, მის უნარზე, ნიჭსა და ცოდნაზე იქნება დამოკიდებული.

- **უსაფრთხოება**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება იცხოვროს უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური თანდაყოლილი უფლება-სიცოცხლის უფლება.

- **პიროვნების თავისუფლება**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება კანონის ფარგლებში თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება, მისი ღირსება იყოს ხელშეუხებელი და იცხოვროს პირადი მრწამსის და შეხედულების შესაბამისად.

- **მოქალაქის მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების ყველა სახის და ყველა დონის არჩევნებში და სხვადასხვა ფორმით აქტიურად იქნას ჩართული გადაწყვეტილების მომზადების პროცესში.

- **ტრადიციული ღირებულებები**

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაიცვას და განავითაროს საკუთარი ენა, ეზიაროს ეროვნულ მემკვიდრეობას, იცხოვროს ძლიერი და სტაბილური ოჯახის პირობებში.

121/1573

„ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ  ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ"

„ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲘᲗ ᲘᲡᲔᲗ ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐ; ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ : ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ"

ქ.თბილისი. მარჯანიშვილის ქ. 11.
„ახალი მემარჯვენეები" (ახლები)-ს
ჩუღურეთის ოფისი.ტელ :(995 32) 962719
E-mail: Koka.Guncadze@wanex.ge

Designed by "WEBSOFT"co. E-mail: websoft@rambler.ru tel: (995 32) 325037; 899 214777.